ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№გ.შ.განკ.1408/1

ქ. თბილისი 25 ივლისი 2016წ.

ერთის მხრივ, **შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“,** შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, წარმოდგენილი მისი დირექტორის იოსებ ოზაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ტრიჯიტი“,** შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებული, წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ თვალავაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტიბევული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 22 ივლისის №2151 განკარგულების **(SMP160002009)** და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 14 ივლისის №1408 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-ზე და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-დან ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სულორში, ე.წ. "ხახუტაშვილების უბანში" მისასვლელ საავტომობილო გზის მონაკვეთზე განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის საჭირო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება (შემდგომში "მომსახურება") (CPV 71520000) .

1.2 მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება.

1.3 შემსყიდველი ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოებს ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 14 ივლისის №1408 განკარგულების საფუძველზე პროექტირების პარალელურ რეჟიმში.

1.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით განახორციელოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან.

2. სახელშეკრულებო თანხა და ანაზღაურების წესი

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან" განხრციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, კერძოდ, შემსყიდველის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება 3.3. პუნქტში აღნიშნული მიღება - ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესები და ვადები

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების ვადაა 2016 წლის 31 დეკემბერი.

3.2. მხარეები ყოველი თვის ბოლოს შეადგენენ გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების

4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მიმწოდებელს, მიმწოდებელი კი ვალდებულია არაუმეტეს 3 კალენდარული დღის ვადაში, მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან.

4.3. თუ შემოწმების შედეგად „შემსყიდველი" გაწეულ მომსახურებას მიიჩნევს არაჯეროვნად, იგი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს".

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების პ.4.3-ით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებისთანავე შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში განახორციელოს არაჯეროვნად გაწეული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

4.5. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პ.4.4-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია თვითონ განახორციელოს არაჯეროვნად გაწეული მომსახურების გამოსწორება და ამ მიზნით გაწეული ხარჯები გამოქვითოს მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5. მხარეების უფლებები და მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს:

5.1.1. მხარეების შეთანხმების საფუძველზე და მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს საზედამხედველო მომსახურების გაწევა.

5.1.2. მომსახურება განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის და წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა დაცვით;

5.1.3. შემსყიდველს სრულად აუნაზღაუროს ნებისმიერი ზიანი, რომელიც წარმოიქმნება მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ან/და სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით;

5.1.4. გაუწიოს ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლის მიერ სამუშაოების შესრულების პროცესში დაშვებული ან/და აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორებისათვის საჭირო სამუშაოებს;

5.1.5. გადაცემიდან 5 დღის ვადაში შეამოწმოს და დაადასტუროს შემსყიდველის მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობებზე დაყრდნობით მომზადებული „შესრულებული სამუშაოების აქტი", იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული აქტი შესაბამისობაშია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან და ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობასთან;

5.1.6. საკუთარი ძალებითა და ხარჯებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ხარვეზები, რომლებიც განხორციელებულ მომსახურებაში მისი ბრალეულობით არის დაშვებული.

5.1.7. აღნიშნოს იმ დოკუმენტებისა და ინფორმაციის მიღების შეუძლებლობა (მათ შორის მესამე პირებისაგან), რომლებიც აუცილებელია მომსახურების გაწევისათვის.

5.1.8. არ გაამჟღავნოს შემსყიდველის მიერ მოწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია და მონაცემები, არ გადასცეს ინფორმაცია რომელიმე მესამე მხარეს შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე (მხოლოდ საჯაროდ ხელმისაწვდომი ხასიათის ინფორმაციის გარდა).

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.2.1. მოითხოვოს შემსყიდველისაგან მომსახურების გასაწევად აუცილებელი ნებისმიერი ტექნიკური თუ ფინანსური ინფორმაცია და დოკუმენტი.

5.2.2. მოითხოვოს შემსყიდველისაგან სათანადო სამუშაო პირობების შექმნა.

5.2.3 მოითხოვოს შემსყიდველისაგან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოცემული ხელშეკრულების პირობებით და ვადებში.

5.3. შემსყიდველი ვალდებულებას იღებს:

5.3.1. უზრუნველყოს მიმწოდებელი მომსახურების გასაწევად საჭირო ყველა აუცილებელი ინფორმაციით.

5.3.2. მიმწოდებელს გადასცეს საპროექტო დოკუმენტაცია და სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა.

5.3.3. დროულად აანაზღაუროს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულება მოცემული ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.4.1. კონტროლი გაუწიოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას;

5.4.2. მოითხოვოს მიმწოდებლისაგან მომსახურების შედეგების წარდგენა მოცემული ხელშეკრულებით დაწესებულ ვადებში.

5.4.3. უარი თქვას მოცემული ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, თუ მიმწოდებელმა არ უზრუნველყო მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება არასაპატიო მიზეზით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე მხარეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები წინასწარი ორმხრივი შეთანხმების გარეშე, ასევე, იმოქმედოს ისე, რაც ზიანს მიაყენებს მოცემული ხელშეკრულების მონაწილეთა რეპუტაციას.
6.2. მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის ან არაჯეროვანი შესრულების ან/და დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარე, უფლებამოსილია თავის სასარგებლოდ მეორე მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო საერთო თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
6.3. პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განსაზღვრული თანხის 15%-ს.

7. განსაკუთრებული პირობები

7.1. ფორს-მაჟორული ვითარების წარმოშობის შემთხვევაში მოცემული ხელშეკრულება შეიძლება გაბათილდეს ცალმხრივი წესით თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობის შესახებ წერილობით შეტყობინების მიღების დღიდან (კონკრეტული ვითარების მითითებით, რომლის გამოც შეუძლებელი ხდება მოცემული ხელშეკრულების პირობების შესრულება) მეორე მხარემ არ მისცა პასუხი 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
7.3. დავები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მოცემული ხელშეკრულების შესრულებისას, შესაძლებლობის ფარგლებში მხარეების მიერ წყდება მოლაპარაკების გზით. მოცემული ხელშეკრულების გარშემო წარმოქმნილი დავა და უთანხმოება, მისი დარღვევის ან გაბათილების გამო, რომელთა შესახებ მხარეებმა ვერ მიაღწიეს ორმხრივად მისაღებ კომპრომისებს, გადაწყდება სასამართლოში.

8. დამატებითი პირობები

8.1. ყველა ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების სახით. ცვლილებები და დამატებები ხორციელდება წერილობითი ფორმით და მხარეთა სრულუფლებიანი წარმომადგენლების ხელმოწერის მომენტიდან ხდება მოცემული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.
8.3. მოცემული ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ორივე ხელშეკრულება იდენტურია და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს გააჩნია მოცემული ხელშეკრულების 1 ეგზემპლარი.
8.4. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:

შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"

მის: ქ. თბილისი, ო. ჩხაიძის №10
ს/კ: 205140257
ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE14BG0000000282521400

მიმწოდებელი:

შპს „ტრიჯიტი"

მის. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №2, ბინა №38
ს/კ: 205287018
ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი"
კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE31BG0000000607044100

დანართი №1

(2016 წლის 25 ივლისის №გ.შ.გან.1408/1 ხელშეკრულებაზე)

ტექნიკური დავალება

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-ზე და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-დან ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სულორში, ე.წ. "ხახუტაშვილების უბანში", მისასვლელ საავტომობილო გზის მონაკვეთზე განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის საჭირო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელებაზე

1. ზოგადი პრინციპები

1.1. ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმწოდებლის ვალდებულებები მოიცავს სამშენებლო სამუშაოების ხარისხის სისტემატურ კონტროლს შემსყიდველის მიერ დამტკიცებული საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის საფუძველზე.

1.2. ტექნიკური ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოების, გამოყენებული მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების მოქმედ სტანდარტებთან და საპროექტო-ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის გათვალისწინებით.

1.3. ტექნიკურმა ზედამხედველმა უნდა განახორციელოს საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოება მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

2. ტექნიკური ზედამხედველის ვალდებულებები

ტექნიკური ზედამხედველი ვალდებულია:

2.1. დამკვეთისაგან ჩაიბაროს საპროექტო დოკუმენტაცია;

2.2. თავისი საქმიანობა აწარმოოს პროექტში გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად;

2.3. განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა სამშენებლო სამუშაოების წარმოებასა და მათ ხარისხიანად შესრულებაზე, დამტკიცებული საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად;

2.4. შეამოწმოს სამუშაოს წარმოებისას გამოსაყენებელი მასალების, დეტალების და კონსტრუქციების პასპორტების (სერთიფიკატების), ლაბორატორიული ანალიზისა და გამოცდების არსებობა და შედეგები;

2.5. მოსთხოვოს სამშენებლო კომპანიას საშენი მასალების, დეტალების და კონსტრუქციების ხარისხის პასპორტების (სერთიფიკატების) საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შემოწმება;

2.6. საჭიროების შემთხვევაში მიმართოს დამკვეთს საშენი მასალების დამატებითი ლაბორატორიული გამოცდების განხორციელების მიზნით;

2.7. დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს სამშენებლო ობიექტზე დაბალხარისხოვანი საშენი მასალების, დეტალებისა და კონსტრუქციების შემოზიდვის შესახებ, რომლებიც ვერ პასუხობენ პროექტით გათვალისწინებულ სტანდარტებს და ტექნიკურ პირობებს;

2.8. მიიღოს მონაწილეობა ფარული სამუშაოების აქტების შედგენაში;

2.9. კონტროლი გაუწიოს სამუშაო პროცესში წარმოქნილი ცვლილებების მუშა ნახაზებში დროულად შეტანას;

2.10. უზრუნველყოს ყველა იმ მოთხოვნებისა და რეკომენდაციების დროულად შესრულება, რომლებიც მშენებლობის პირობებში დამკვეთის მიერ [illegible]

წინააღმდეგ შემთხვევაში დამკვეთთან შეთანხმების საფუძველზე შეაჩეროს მიმდინარე სამუშაოები;

2.11. პერიოდულად, სამუშაოების შესაბამისი ეტაპის (სახეობის) წარდგენამდე, შეამოწმოს შესრულებული ცალკეული სამუშაოების შესაბამისობა დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციასთან და ხელი მოაწეროს მათი შესრულების აქტს;

2.12. სამუშაოების შეფერხების ან უხარისხოდ შესრულების, ან/და მათი საპროექტო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის, ან/და სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევის, ან/და ობიექტზე სამუშაოების წარმოების დროს წარმოქნილი კონსტრუქციების ხარვეზების გამოვლენის შემთხვევებში, დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ დამკვეთს და საავტორო ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს.

2.13. ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველი თვის ბოლოს შემსყიდველს წარუდგინოს ყოველთვიური ტექნიკური ანგარიში განვლილ პერიოდში მის მიერ განხორციელებული ტექნიკური ზედამხედველობის შედეგების შესახებ, სადაც წარმოდგენილი უნდა იყოს მის მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების აქტები და სხვა საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია; ტექნიკურ ანგარიშში აგრეთვე ასახული უნდა იყოს სამშენებლო პროცესის ყველა ხარვეზი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად და მათი გამოსწორების შედეგები;

2.14. დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია;

2.15. მომსახურების პროცესში ნორმატიული ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად აწარმოოს ტექნიკური საშემსრულებლო დოკუმენტაცია, რომელიც შემსყიდველს უნდა გადაეცეს ეტაპობრივად;

2.16. ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესში ყველა დოკუმენტის (მ.შ. დამკვეთისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია და ინფორმაცია) წარმოება განახორციელოს ქართულ ენაზე.

3. ტექნიკური ზედამხედველის პასუხისმგებლობა

3.1. ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ მოქმედი დებულების შესაბამისად მიმწოდებელი პასუხისმგებელია თავის მოვალეობათა ობიექტურ და კვალიფიციურ შესრულებაზე. ამასთან, უხარისხოდ შესრულებული და შეუსრულებელი სამუშაოების მიღების, აგრეთვე, საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაციის არაკვალიფიციურად წარმოების შემთხვევაში ტექნიკური ზედამხედველი პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. ტექნიკური ზედამხედველი პასუხისმგებელია პროექტის ფარგლებში მონაწილე სპეციალისტების (ტექნიკური ზედამხედველების) კვალიფიკაციაზე. სპეციალისტებს მიმართულებების მიხედვით უნდა გააჩნდეს ანალოგიური მომსახურების განხორციელების არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება და კვალიფიკაციის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია;

3.3. ტექნიკური ზედამხედველი პასუხისმგებელია დამკვეთისათვის წარდგენილ ტექნიკურ ანგარიშებში, აგრეთვე, სამონტაჟო სამუშაოების შესრულების შუალედურ ან/და საბოლოო აქტებში მითითებულ მონაცემების სისწორეზე;

4. ტექნიკური ზედამხედველობის კომპანიის მომსახურების რეჟიმი

4.1. სამუშაოების ხარისხის მუდმივი კონტროლის მიზნით სამშენებლო ობიექტზე მუდმივ რეჟიმში უნდა იმყოფებოდეს მიმწოდებლის წარმომადგენელი (ტექნიკური ზედამხედველის სამუშაო ადგილის მოწყობას უზრუნველყოფს შემსყიდველი).

4.2. გარდა ზემოაღნიშნულისა მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სხვადასხვა მიმართულებების სპეციალისტების პერიოდული მომსახურება.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია"	**შპს „ტრიჯიტი"**
ს/კ: 205140257	ს/კ: 205287018
_____ **იოსებ ოზაშვილი**	_____ **თამაზ თვალავაძე**